



თბილისის სააპელაციო სასამართლო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №28/2838-13

03 ივლისი, 2013 წელი
თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ნატალია ნაზლაიძე
მოსამართლეები - ქეთევან მესხიშვილი, ნათია გუჯაბიძე

სხდომის მდივანი - დარეჯან ბიძინაშვილი

აპელანტი - სს „ს. ბ.“

წარმომადგენელი - დ. ა.

მოწინააღმდეგე მხარე - გ. დ.

დავის საგანი - საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების დაკისრება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება

1. აპელანტის მოთხოვნა - გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

სს „ს. ბ.-ს“ მიერ გ. დ.-ს მიმართ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნა:

2005 წლის 6 სექტემბრის №29084 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სესხის ძირითადი თანხის - 5 273,63 აშშ დოლარის, პროცენტის - 5 120, 04 აშშ დოლარის და პირგასამტეხლოს - 49 231,34 აშშ დოლარის დაკისრება (ტ. I. ს.ფ. 87-88).



გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „ს. ბ.-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გ. დ.-ს მოსარჩელე სს „ს. ბ.-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 2005 წლის 6 სექტემბრის №XXXXX საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სესხის ძირითადი თანხის დავალიანების სახით - 3082,78 აშშ დოლარის გადახდა; გ. დ.-ს სს „ს. ბ.-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა, 2005 წლის 6 სექტემბრის №XXXXX საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საპროცენტო სარგებლის დავალიანების სახით 652,58 აშშ დოლარის გადახდა; „ს. ბ.-ს“ უარი ეთქვა მოპასუხისათვის 2005 წლის 6 სექტემბრის №XXXXX საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს სახით 49 231,34 აშშ დოლარის გადახდის დაკისრებაზე.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2005 წლის 6 სექტემბერს, სს „ს. ბ.-ს“ და გ. დ.-ს შორის დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: კრედიტის თანხა - 6 000 აშშ დოლარი, სარგებელი - წლიური 19%, პირგასამტეხლო - გადასახდელი თანხის 0,5% ყოველ ვადაგადაცვილებულ დღეზე, ხელშეკრულების ვადა - 60 თვე. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მსესხებელს სესხი უნდა დაეფარა შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ყოველთვიურად სესხის ძირითადი თანხის და პროცენტის ნაწილის გადახდით. მსესხებლის მიერ მიღებულ იქნა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა - 6 000 აშშ დოლარის ოდენობით.

2.2. სს „ს. ბ.-ს“ და გ. დ.-ს შორის დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, 2005 წლის 6 სექტემბერს, სს „ს. ბ.-ს“ და გ. დ.-ს შორის გაფორმდა №XXXXX-ა გირავნობის ხელშეკრულება.

2.3. 2005 წლის 6 სექტემბრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულების საფუძველზე, გრაფიკის მიხედვით, მოსარჩელეს ყოველთვიური შენატანი უნდა განეხორციელებინა ყოველი თვის 7-9 რიცხვში. მოპასუხემ გრაფიკით გათვალისწინებული ბოლო გადახდა განახორციელა 2006 წლის 17 აგვისტოს.

2.4. მოსარჩელეს გაშვებული აქვს 2005 წლის 6 სექტემბრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულების საფუძველზე 2008 წლის სექტემბრის ჩათვლით მოპასუხის მიერ გადასახდელი სესხის ძირითადი თანხის და პროცენტის მოთხოვნის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა - ექვს წელს. ამავე მუხლის



მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, საბანკო კრედიტის ხელშეკრულების თანახმად, მსესხებელს სესხი უნდა დაეფარა ნაწილ-ნაწილ, შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ყოველთვიურად სესხის ძირითადი თანხის და პროცენტის ნაწილის გადახდით. კერძოდ, მოპასუხეს ყოველი თვის 7 რიცხვში უნდა გადაეხადა 155,64 აშშ დოლარი, ხოლო გადახდა უნდა დაეწყო 2005 წლის ოქტომბერში. შესაბამისად, მოსარჩელესაც ყოველთვიურად გადასახდელი თანხის მოთხოვნის უფლება წარმოეშობოდა 2005 წლის 7 ოქტომბრიდან ყოველი თვის 7 რიცხვში. ხანდაზმულობის სამ წლიანი ვადის ათვლაც იწყებოდა თანხის გადახდის ვადის გასვლის მომდევნო დღიდან. ასე მაგალითად, 2008 წლის 7 სექტემბერს გადასახდელი თანხის მოთხოვნის ხანდაზმულობის სამ წლიანი ვადის ათვლა დაიწყო 2008 წლის 8 სექტემბერს და დასრულდა 2011 წლის 8 სექტემბერს. სს „ს. ბ.-ს“ მიერ კი სარჩელი აღძრულ იქნა 2011 წლის 15 სექტემბერს. აღნიშნული კი იმას ნიშნავდა, რომ მოსარჩელემ 2008 წლის სექტემბრის ჩათვლით გადასახდელი თანხის მოთხოვნის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა გაუშვა.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

2.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლის თანახმად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 868-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა შეთანხმებით კრედიტორისათვის შეიძლება განისაზღვროს მყარი ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი.



საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 145-ე მუხლის თანახმად, მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2005 წლის 06 სექტემბერს დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოპასუხემ სესხის სახით მიიღო 6000 აშშ დოლარი, 60 თვის ვადით, წლიური 19% საპროცენტო სარგებლის დარიცხვით. მსესხებელს სესხის თანხა უნდა დაებრუნებინა ნაწილ-ნაწილ, შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ყოველთვიურად სესხის ძირითადი თანხის და პროცენტის ნაწილის დაფარვით. მოპასუხეს სესხი სრულად უნდა დაეფარა 2010 წლის სექტემბერში. მოპასუხის მიერ დარღვეული იქნა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და მის მიერ გრაფიკით გათვალისწინებული გადახდა ბოლოს განხორციელებული იქნა 2006 წლის 12 აგვისტოს.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ გაუშვა 2008 წლის სექტემბრის თვის ჩათვლით მოპასუხის მიერ გადასახდელი თანხის მოთხოვნისათვის კანონით დადგენილი სამ წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

აღნიშნული გარემოება მოპასუხეს უფლებას აძლევს უარი განაცხადოს შესრულებაზე, კერძოდ 2008 წლის სექტემბრის ჩათვლით გადასახდელი სესხის ძირითადი თანხის და პროცენტის ნაწილის, ასევე აღნიშნული თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდაზე, თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე და 145-ე მუხლებისა.

ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე და 867-ე და 868-ე მუხლების საფუძველზე, მოპასუხე ვალდებულია მოსარჩელეს გადაუხადოს სესხის დაფარვის გრაფიკის მიხედვით 2008 წლის ოქტომბრიდან 2010 წლის სექტემბრის ჩათვლით გადასახდელი სესხის ძირითადი თანხა და პროცენტი, რაც მთლიანობაში შეადგენს 3735,36 აშშ დოლარს.

2.6. რაც შეეხება 2008 წლის ოქტომბრიდან ყოველთვიურად შესატანი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის დარიცხულ პირგასამტეხლოს, სასამართლო განმარტავს შემდეგს:

მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 4.1.11. პუნქტის თანახმად, სესხის ძირითადი თანხის და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას კლიენტი გადაიხდის პირგასამტეხლოს გადაუხდელი თანხის 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ



თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე შემოიფარგლა ზოგადი ხასიათის განმარტებით იმის შესახებ, რომ სარჩელის აღძვრის დროისთვის მოპასუხეს ერიცხება ჯარიმა 49231,34 აშშ დოლარის ოდენობით. არ იქნა მითითებული პირგასამტეხლოს დარიცხვა განხორციელდა მოპასუხის მიერ ყოველთვიურად შესატან თანხაზე მზარდი თანმიმდევრობით, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ გადასახდელ მთლიან თანხაზე, ასევე არ იქნა განმარტებული ვადა საიდანაც მოსარჩელე ითხოვს პირგასამტეხლოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ 2008 წლის ოქტომბრიდან გადასახდელი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის პირგასამტეხლოს მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში, სარჩელი ფაქტობრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 სექტემბრის განჩინებით სს „ს. ბ.-ს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 13 მაისის განჩინებით სს „ს. ბ.-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 სექტემბრის განჩინება გ. დ.-სთვის პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ სს „ს. ბ.-ს“ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

სს „ს. ბ.-ს“ წარმომადგენელმა მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლა პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება 2008 წლის ოქტომბრიდან 2011 წლის 15 სექტემბრამდე ყოველვადაგადაცილებულ დღეზე დავალიანების თანხის 0,5%-ის ოდენობით. სააპელაციო საჩივარი ემყარება შემდეგ გარემოებებს:



ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები:

3.2. აპელანტის შეფასებით, სასამართლოს განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ პირგასამტეხლოს მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში სარჩელი ფაქტობრივი თვალსაზირისით დაუსაბუთებელია, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდან პირგასამტეხლოს ოდენობა გათვალისწინებულია მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის დასაბუთება

ფაქტობრივი დასაბუთება:

პალატა დადგენილად მიიჩნევს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

4.1. 2005 წლის 6 სექტემბერს სს „ს. ბ.-სა“ და გ. დ.-ს შორის დაიდო №XXXXX საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მსესხებელზე 60 თვის ვადით გაიცა საბანკო კრედიტი 6000 აშშ დოლარის ოდენობით, წლიური 19%-ის ოდენობით სარგებლის დარიცხვით. მსესხებლის მიერ მიღებულ იქნა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა - 6 000 აშშ დოლარის ოდენობით. ხელშეკრულების პირობების თანახმად, მსესხებელი ვალდებული იყო კრედიტი დაეფარა შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ყოველი თვის 7-9 რიცხვში (ტ. I. ს.ფ. 10-17).

4.2. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სს „ს. ბ.-ს“ მოთხოვნა 2008 წლის ოქტომბრამდე საკრედიტო თანხის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეული იქნა ხანდაზმულად. გ. დ.-ს მოსარჩელე სს „ს. ბ.-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 2005 წლის 6 სექტემბრის №XXXXX საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სესხის ძირითადი თანხის დავალიანების სახით - 3082,78 აშშ დოლარისა და საპროცენტო სარგებლის - 652,58 აშშ დოლარის გადახდა. სულ 3735.36 აშშ დოლარის გადახდა

4.2. 2005 წლის 6 სექტემბრის ხელშეკრულების 4.1.11 პუნქტის შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ სესხის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას, ბანკის მიერ დაკისრების შემთხვევაში, კლიენტი ბანკს აუნაზღაურებდა გადახდის დაგვიანებით მიყენებულ ზიანს და გადაიხდიდა პირგასამტეხლოს გადაუხდელი თანხის (ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი) 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ბანკის მიერ მისი დაკისრების შემთხვევაში (ს.ფ. 12, ტ.1).

სამართლებრივი დასაბუთება

4.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. ამავე კოდექსის



418-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას. მოცემულ შემთხვევაში, 2005 წლის 6 სექტემბრის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებაზე ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის. მხარეთა მიერ პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრა გადასახდელი თანხის 0.5%-ით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (იხ. ფაქტობრივი გარემოება 4.2).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-418-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, პირგასამტეხლო წარმოადგენს სახელშეკრულებო მოთხოვნის შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება - ამ ვალდებულების შესრულებამდე. სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა.¹

სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ მართალია, 2005 წლის 6 სექტემბერს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოს ოდენობაზე, მაგრამ აღნიშნული სასამართლოს არ ზღუდავს, დავის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტისათვის გამოიყენოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით გათვალისწინებული ე.წ. „სასამართლო შესაგებელი“ და მხარეთა შეთანხმების მიუხედავად, თავად შეაფასოს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, კონკრეტულ შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობისა და დაკისრების მიზანშეწონილობა.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამავე კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად.

¹ იხ. სუსგ 28.12.12 წ. საქმე №ს-1560-1463-2012



პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის:

ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები;

ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს;

გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს;

დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება.

განსახილველ შემთხვევაში მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოზე, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი საერთო თანხის 0.5%-ის ოდენობით. ხელშეკრულების ძირითადი თანხის, მოვალის მიერ საერთო ჯამში გადასახდელი თანხისა და პირგასამტეხლოს ოდენობის გათვალისწინებით, პალატას სრულიად მართებულად მიაჩნია მოპასუხე მხარის ბრალეულობისა და პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის მქონე ინსტრუმენტის არსებობის პირობებში, მისი შემცირება გადაწყვეტილებით დადგენილ ფარგლებში.

ამდენად, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ 2005 წლის 6 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს განაკვეთი 0.5% უნდა შემცირდეს გონივრულ ოდენობამდე - 0.05%-მდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

გამომდინარე იქიდან, რომ სს „ს. ბ.-ს“ მოთხოვნა 2008 წლის ოქტომბრამდე მიჩნეული იქნა ხანდაზმულად, პირგასამტეხლო უნდა დაანგარიშდეს 2008 წლის ოქტომბრის თვიდან სარჩელის შემოტანამდე პერიოდზე - 2011 წლის 15 სექტემბრამდე. მოპასუხე გ. დ.-ს სს „ს. ბ.-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანება სესხის ძირითადი თანხა 3082.78 აშშ დოლარი და საპროცენტო სარგებელი 652.58 აშშ დოლარი, ჯამში 3735.36 აშშ დოლარი. შესაბამისად, პირგასამტეხლო შეადგენს 3735.36 აშშ დოლარის 0.05%-ს - 1.86 აშშ დოლარს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც საბოლოო ჯამში შეადგენს 2008.80 აშშ დოლარს.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

პალატა ასკვნის, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

6. საპროცესო ხარჯები

გამომდინარე იქიდან, რომ აპელანტის - სს „ს. ბ.-ს“ მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - 2008.80 აშშ დოლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, მოწინააღმდეგე მხარეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, აპელანტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციული სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება - 397.65 ლარის ოდენობით (სარჩელის, სააპელაციო



საჩივრისა და საკასაციო საჩივრებისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად).

**სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ
გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. სს „ს. ბ.-ს“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. შეიცვალოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ სს „ს. ბ.-ს“ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. სს „ს. ბ.-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
4. გ. დ.-ს სს „ს. ბ.-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტეხლოს გადახდა 2008.80 აშშ დოლარის ოდენობით.
5. გ. დ.-ს სს „ს. ბ.-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 397.65 ლარის ოდენობით.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მეშვეობით.
7. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

თავმჯდომარე:

ნატალია ნაზლაიძე

მოსამართლეები:

ნათია გუჯაბიძე

ქეთევან მესხიშვილი